ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N47

ქალაქი ბათუმი 22 ივნისი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე" (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის თამარ მესხიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პროვაიდერ-ჯი", წარმოდგენილი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 ორივე მხარის წარმომადგენელი სრულად გაეცნო ხელშეკრულებას და ეთანხმება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა პირობას.

1.2. მიმწოდებელი თანხმდება შეუსრულოს შემსყიდველს სამუშაოები ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;

1.4. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
2.2. „ხელშეკრულების საერთო ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
2.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
2.4. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისათვის დანართში მოცემული ჰიგიენური საქონლის მიწოდება.
3.2. კლასიფიკატორის კოდები, საქონლის კონკრეტული სახე და ერთეულის ფასები განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.3. დაფინანსების წყარო: აჭარის ა.რ რესპუბლიკური ბიუჯეტი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 497 ლარს.
4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, რომელთა გადახდაზე პასუხისგებელია მიმწოდებელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

5.1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

5.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ერთჯერადად მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით;
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი - თამარ მესხიძე.

7. მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი.
7.2 საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.
8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების და მისი დანართების პირობების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.
8.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებელს 7.2. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმიწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) თუ ხელშეკრულების მე-9 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ს;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 2 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

11.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. გარანტია

14.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ხარისხი, ტექნიკური პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით და განსაზღვრულ პირობებს

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

13.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ.

13.4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
15.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
15.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
15.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე	შპს „პროვაიდერ-ჯი“
მისამართი:ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. 37	მისამართი: ქ. ბათუმი, ნონეშვილის ქ. 60
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები: პროკრედიტ ბანკი
ს/კ 445404820	ს/კ 445427119
ბანკის კოდი – TRESGE22	ბანკის კოდი – MIBGGE22
	ა/ნ –GE13PC0193600100011836
დირექტორი თამარ მესხიძე	დირექტორი სალომე კიკვაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 22.06.2018 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ დირექტორი თამარ მესხიძე ვადასტურებ, რომ ჰიგიენური საქონლის შესყიდვის მიზნით შპს ,,პროვაიდერ-ჯი“-სთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას.

დირექტორი თამარ მესხიძე

#47 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი

#	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	კლასიფიკატორის კოდი
1	სარეცხის მათეთრებელი 1000 გრ	ცალი	54	1,8	97,2	39831000
2	ხელთათმანი რეზინის S ზომა	ცალი	15	2,2	33	18424300
3	ხელთათმანი რეზინის M ზომა	ცალი	15	2,2	33	18424300
4	ხელთათმანი რეზინის ცენტი	ცალი	15	2,2	33	18424300
5	სარეცხი ფხვნილი ბინგო ფერადი	ცალი	10	1,9	19	39831000
6	მიკროფიბრის ტილო ზომა 40*40	ცალი	25	1,2	30	39525800
7	უჯრედიანი ტილო იატაკის 50*70	ცალი	10	5	50	39525800
8	მყარი საპონი „ვაშლი" 150 გრ	ცალი	30	1	30	33711900
9	ჭურჭლისა და ხელის ბალზამი 1500მგ	ცალი	10	4,3	43	33711900
10	ჰაერის გამწმენდი აეროზოლი „ტროპიკული ხილი"	ცალი	2	2,2	4,4	39811100
11	ჰაერის გამწმენდი აეროზოლი „ვარდი"	ცალი	4	2,2	8,8	39811100
12	ჰაერის გამწმენდი აეროზოლი „ოკეანე"	ცალი	4	2,2	8,8	39811100
13	სამზარეულოს სამწნდი კრემი 500 მლ	ცალი	16	3,3	52,8	39830000
14	შუშის საწმენდი სითხე	ცალი	36	1,5	54	39830000
	სულ ჯამი:				497	

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"	**შპს „პროვაიდერ-ჯი"**
ს/კ 445404820	**ს/კ 445427119**
დირექტორი თამარ მესხიძე	დირექტორი სალომე კიკვაძე
ხელმოწერა ---------- მ.ა	ხელმოწერა ---------- მ.ა